ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის N40 ბინაზე, მოქალაქე სვეტლანა მიქაძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის N40 ბინაში მცხოვრები მოქალაქე სვეტლანა მიქაძის განცხადება /2012 წლის 14.12 Nმ–10480/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლი N40 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და ,,კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის N40 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე სვეტლანა მიქაძეს.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის N40 ბინაზე /საერთო ფართობი 61,07 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 36,00 კვ.მ, დამხმარე ფართობი 25,07 კვ.მ./ მოქალაქე სვეტლანა მიქაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიანმა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი ა.ძოწენიძე